

საქართველო

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სახელმწიფო დეპარტამენტი

საერთო უკრაინული გაზეთი ბამონცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან კარასკეპი, 19 ივნისი 1998 №95 (630) ფასი 50 თეთრი

ს. აფრიკა — დანია 1:1 საფრანგეთი — საუდათი 4:0

REUTERS სენ დენიდან



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სახელმწიფო დეპარტამენტი

საუდელ არაბთა მეკარე ალ დეიას ლილიან ტურამის დაკიდული ბურთი ხელიდან გაუვარდა, დევიდ ტრეზგეც (№20) ზუბრაამავის დაუსხლტა და ანგარიში 2:0 გახადა

დღეს ორი მატჩი

ნიგერია — ბულგარეთი
პარიზი. 19³⁰
ესპანეთი — პარაგვაი
სანტიაგო. 23⁰⁰



საფრანგეთი 2 2 0 0 7:0 6
 დანია 2 1 1 0 2:1 4
 ს. აფრიკა 2 0 1 1 1:4 1
 საუდათი 2 0 0 2 0:5 0

24 ივნისი, საფრანგეთი — დანია, ს. აფრიკა — საუდათი

ვის არ ახსოვს ფრანგთა დიდი გუნდი. თუმცა, მსოფლიოს ჩემპიონობა, გალიელებმა მაშინაც ვერ შეძლეს. და ახლა, მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებს წარმატების იმედი უფრო და უფრო უღვივდებათ. წლეულს დიდი, თან მშრალი ანგარიშით მოგება პირველმა ფრანგებმა მოახერხეს და, როგორც კი ბრანზილიელებმა თუ იტალიელებმა წაჰბაძეს, თამასა ერთი გოლითაც ასწიეს. ფრანგები ჯერჯერობით ერთადერთნი არიან ორი ტური ერთდროულად ქულადაუკარგავად და გოლგაუშვებლად რომ გალიეს. იქნებ მართლა უწერია მასპინძელთა დიდი ხნის ოცნებას ასრულება. გუშინდელი დღე სხვაგვარადაც სარეკორდო იყო, ახალი თუ ძველი წესების გადაბეჭდვა, მსაჯებმა ხუთი მოთამაშე გასახდელის ვზას ნაადრევად გაუყენეს.

პასპარტის კოვენტარი პლაკიპარ პანოში საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე

ზოგი გუნდი მსხალს ნააგავს

— გუშინ დანიას ძალიან გაუჭირდა. ვფიქრობ, მათ ქულის მოპოვებით და თავისი ბედი გარკვეეს. ახლა ძნელი წარმოსადგენია, სკანდინავიელებს სამხრეთ აფრიკელებმა აჯობონ და ჯგუფში მეორე ადგილი დაკარგონ. დანიამ, ეტყობა, მეტოქე სათანადოდ ვერ შეაფასა, მოედანზე ცოტა არ იყოს, თავდაჯერებულები გამოვიდა, ეგონა, გადაუვლიდა, მაგრამ აფრიკელებმა ამის საშუალება არ მისცეს. პირიქით, ცოტა ილაპალი რომ ჰქონოდათ, ალბათ გაიმარჯვებდნენ კიდევ. ამას გარდა, დანიელთა მწვრთნელმა მგონი არც ის იცოდა, მეტოქე როგორ დაემარცხებინა, აშკარად ჩანდა, პირველ ტურში აფრიკელთა თამაშისთვის ყურადღება არ მიუქცევია. პატარა ბავშვებით იბნეოდნენ, როცა აფრიკელები უტევენ, თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ დანიელებს იმპროვიზაციის დიდუნარიანი მეტოქე ჰყავდა. შეტევის მიმართულებას აფრიკელები წამიჯრად ცვლიდნენ, ამით კი საფრანგეთი უეჭველი ფინალისტი და ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტი. წყნარად, აუღელვებლად, ზედმეტი ნაბიჯის გარეშე აკეთებენ თავის საქმეს. ძალიან შეკრული გუნდია. ისე, არაბების უხეშობისა ვერაფრით გაივება რას ერჩოდნენ,

რა უნდოდათ, ხომ იცოდნენ, რომ მასპინძლების დამარცხების მიზნული შანსი ჰქონდათ. ფრანგების ბედი, გუშინ მოედანი უტერაგებოდ რომ დატოვეს, არადა, შესაძლებელი იყო, არაბებს ბევრი ფეხბურთელი დაეხმარებინათ. დიუგარის ტრაგედიულ ნუ იფიქრებთ, მას ხომ კუნთი გაუწყდა, თუ დაეჭიმა და თავის თავსვე დააბრალოს. მეტოქე იქ უდანაშაულო იყო. საერთოდ, მიმანია, ჯგუფური თამაშები უსუნსაციოდ ჩაივლის. ანგარიში ყოველთვის წინასწარა ცნობილი და ჯგუფური მატჩებს ძლიერი გუნდები, მგონი, ფორმამი შესასვლელად იყენებენ, ვარჯიშობენ. აი, მოკრივეთ რომ აქვთ „მსხალი“ და იციან, ხელს რომ ვერ შეუბრუნებს, თითქმის ისეთივე ვარიანტია. დაგეგმილი ქულა ძნელად ვინმემ დაკარგოს. თუმცა, ფაქტია — გუნდებს უბრძოლველობას ვერაფერს დასწამებს. ნაღდი თამაშები მერვედიფინალიდან დაიწყება. ჯერ სად ვართ, ჯგუფიდან გასულები მერე უკვე მთელი მობილიზაციით ითამაშებენ. მათ შორის, ალბათ, დანიაც. გუშინდელი უსასურთი თამაშის მოუხედავად, ამ გუნდისა ყოველთვის მწამდა, მისი საუკეთესო თამაში ჯერ კიდევ წინაა. ვიკინგებს დიდი ძალა აქვთ.



რა კარგი იყო დანია...

მატი №21. 18 ივნისი. ტულუზი. სტად მუნისიპალი. 37 500 მაყურებელი

ს. აფრიკა 1:1 დანია

1:0 ნილსენი (13), 1:1 მაკარტი (52)



ბრიან ლაუდრუპის (№11) ძალისხმევა გამარჯვების მომტანი არ აღმოჩნდა

REUTERS ტულუზიდან

მაზი გადაცემა და შმახელის ფეხებს- შუა გამპერალი ბურთი — 1:1. „ბაფანა ბაფანას“ იმედი — ბენდინტ, ერისკაცობაში ბენი მაკარტი მსოფლიოს ჩემპიონატებზე გატანილი პირველი სამხრეთაფრიკელი გოლის ავტორი გახდა. თუ 21 წლის აფრიკელმა ჭაბუკმა სამშობლოში გემრის სახელი დაიკავა, მასზე თითქმის ათი წლით უფროსი ტერ შმახელი სასტიკად შერცხვა, ან კი რომელ მეკარეს გაუნარღებდა ფეხებს შუა გასული გოლი. ისე, სასაცილო ისაა, რომ გიგანტმა დანიელმა მეკარემ კარში პირველივე დარტყმული გაუშვა — მანამდე შვაი კონტინენტის არანაკლებ შვაი შვილები უმეტესწილად დაუმინებლად არტყამდნენ.

სწორედ 1:1-ის შემდეგ გაავდა კოლუმბიელი მსაჯი, თუმცა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ იგი მწვრთნელებს გაუწყვა — თითქოს ტრუსიეს და იოჰანსონს შეცვლები არ მოუწონათ, მიღმა და თამაშში მორე ტაიმში ჩართული ექვსი მოთამაშედან სამი უკანვე, მინდობის გარეშე მიაბრძანა. ტორო რენდლის განრისხება გარკვეულწილად კომპიურიც გახლდათ — მოთამაშეთა გაფრთხილება-გაძევებისას იგი ისე ექნედა ბარათებს, ლამის იყო, განსაჯე- ლნი შემოეღებოდა. ეს, ცხადია, ხუმრობით, ისე კი, კოლუმბიელმა შვაისანმა ცოტა არ იყოს, გადაამალა — ზოგჯერ სიტუაციაში ფეხბურთელები გაფრთხილებას სრულიად არ იმსახურებდნენ.

პირი ისა, კაცი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთადერთმა შეძლო ერთ შეხვედრაში ორი ავტოგოლის გატანა, კვლავ თამაშობდა, თუმცა ამჯერად გოლის შეგდება საკუთარ კი არა, შმახელის კარში უფრო ეწადა. მისი მარჯვენაფლანგური გარღვევები დანიელთ საკმაოდ ბევრ ხიფათს უქმნიდა.

საბოლოოდ ფრე — 1:1. სხვათა შორის, დანიელთათვის ეს პირველი ზავი აღმოჩნდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ნათამაშე შეხვედრებში.

ისინი ცდილობდნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ — „დანიურმა დინამიტმა“ ზედღებდ მორედ ვერ იფეთა.

ლავა გოდუაძე

მატჩის შედეგი

ვილიზ ტრუსი, სამხრეთაფრიკელთა ფრანგი თავკაცი: შედეგით უკმაყოფილო ვარ, ვფიქრობ, მეტის გაკეთება შეეძლო, განსაკუთრებით მორე ტაიმში. გოლი უკვე მომწიფებული იყო, მაგრამ დრო არ გვეყო და, სამწუხაროდ, ფრეს უნდა შევეკუთ. მატჩის მორე ნახევარი მთლიანად ჩვენი კარნახით მიმდინარეობდა, რადგან ბიჭებმა ჩემი დარიგებები შეისმინეს და პირველ ტაიმში დაშვებული შეცდომები აღარ გაიმორღეს. თუმცა ამაზე ფიქრის დრო აღარ არის, მთელი ყურადღება მომავალ შეხვედრაზე უნდა გადავიტანოთ. საუდის არაბეთთან აუცილებლად მოგება გვჭირდება.



გამშვებულან სამხრეთაფრიკელი — იორგენსენის ჩაწოდებული კუთხური კინალამ კარში შეგარდა

REUTERS ტულუზიდან

ჩამორჩენას „ბაფანა ბაფანას“ არევიდარევა მოჰყვა. ფეხბურთელებს ამბლები ერეოდან, ქაოსური თამაშის გამო კი კინალამ კიდევ დაისაჯნენ — მათ ბედად აფრიკელთა კარს ჰანს ვონკის დარად მარცხენა ძელიც იცავდა — იმ წუთებში ყველანაირი უპირატესობის მფლობელმა დანიელებმა მორე გოლის გატანა რომ ვერ მოახერხეს, ეს სწორედ იმ ძელის დამსახურებაა.

ზემოთ ვთქვი, აფრიკელებმა თამაშში შესვენებამდე გაათანაბრეს-მეთქი, მაგრამ პირველ ტაიმში ყველაზე სახიფათო თავდასმა მათ ტაიმის მიწურულს კი არა, დასაწყისში განახორციელეს „ბაფანა ბაფანას“ ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ცარიელი კარის წინ აღმოჩენილ შონ ბარტლეტს ბურთმა იქვე ჩაუქროლა, მან კი ფეხი ვერ წაჰკრა და გაოგნებულმა მხოლოდ ხელები შემოირტყა თავზე.

15 წუთიანი შესვენება სამხრეთაფრიკელთა დამრიგებელ ტრუსიემ უფრო ნაყოფიერად გამოიყენა, ვიდრე დანიელთა შედემა მწვრთნელმა. ბო იოჰანსონმა. თამაშის განახლება და შმახელის განერვიულება ერთი იყო. ჩანდა, აფრიკელები არ ხუმრობდნენ. მალე მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად ემინოდან დაწინაურებულებს — მათ კარში გოლი გავიდა, რამაც თან წაიყვალა ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე მრეკვეფინალის საგზურის მოპოვების იმედი.

აფრიკელთა გოლი, უფრო სწორად კი საგოლე კომბინაცია, საკმაოდ ლამაზი გამოდგა — ერთი შეხებით, წამებში გაკეთებული სამი მოკლე, მაგრამ ლა-

1. ვონკი	3. ნიატი
5. ფიში	19. რადებე
12. აგუსტინი	21. ისა
7. ბარტლეტი	9. ფორტუნე
10. მოშოუ	
17. მაკარტი	11. მკალელე
19. სანდი	11. ბ. ლაუდრუპი
10. მ. ლაუდრუპი	
7. ნილსენი	
6. ჰელგევი	21. იორგენსენი
2. შონბერგი	4. ჰოგი
3. რიპერი	12. კოლდინგი
1. შმახელი	
დანია	
შეცვლა: აგუსტინი — 8 ფირი (46), მ. ლაუდრუპი — 9. მოლნარი (58), სანდი — 5. ჰინცე (58), ბარტლეტი — 6. მასინგა (78), შონბერგი — 14. ვიგპორსტი (82), ნიატი — 13. ბაკლი (89)	
გაფრთხილება: შონბერგი, ნიატი, ჰოგი, შმახელი, ისა, ფირი, რადებე	
გაძევება: მოლნარი (67), ფირი (69), ვიგპორსტი (85)	
მთავარი მსაჯი: ხ. ტ. რენდონი (კოლუმბია)	

მატჩის სტატისტიკა

- 45-ე წუთი. დანიელები მარჯვენა ფრთიდან პენალტის ნიშნულთან მალა პასს აწვდიან. ბურთი ისას ხედება და იქვე სანდთან ეცემა. სანდის დარტყმა ისევ ისას ხედება და კუთხურზე გადის.
8. სამხრეთაფრიკელი რადებე რიპერის ასხლეტილ ბურთს არტყამს. დარტყმას შმახელი იგერიებს.
11. საჯარიმოში შეჭრილი ბრაიან ლაუდრუპი ბურთს ინარჩუნებს. მარჯვნივ პასს უგორებს სანდს, რომლის მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთიც კარის ხაზის პარალელურად საპირისპირო ფრთაზე მიგორავს.
13. მარჯვენა ფრთიდან ისევ დანია უტევს. საჯარიმოს გარედან ბრაიან ლაუდრუპი აწვდის მორეულ ძელთან, საიდანაც ალან ნილსენს ბურთის გაუჩერებლად გააქვს გოლი.
15. მიქაელ ლაუდრუპი საჯარიმოს გარედან არტყამს და აცლივებს.
17. იორგენსენი მარცხენა კუთხიდან ბურთს პირდაპირ შორეულ ძელს არტყამს, ბრაიან ლაუდრუპი ასხლეტილ ბურთს განოლილი თავურს ამატებს, მაგრამ ბურთს ვონკი ეუფლებს.
21. სამხრეთი აფრიკა მარჯვნიდან კუთხურს აწვდის. ბურთი მეკარის ბაქანთან ისა ეუფლება, მაგრამ დარტყმისთვის სწორე მომენტს ვერ არჩევს.
28. ერთხანს ბურთი დანიელთა საჯარიმოსთან ტრიალებდა, მერე მაკარტიმ მარჯვენა ფრთიდან განჭოლი პასი ჩაანოდა და მკალელე მწვრთნელს ბურთისთვის ფეხის მიშვერა და დაუცველ კარში გოლის შეგდება ვერ მოახერხა.
41. ბრაიან ლაუდრუპი საჯარიმოს მისადგომებთან მარცხნივ, თავისთან ახლოს მდგომ სანდს აწვდის ბურთს. სანდის დარტყმული მეკარისგან მარცხენა ძელს ხედება.
51. მიქაელ ლაუდრუპის ძლიერ დარტყმას ვონკი იგერიებს.
52. სამხრეთაფრიკელი მოშოუ საჯარიმოს მისადგომებიდან საჯარიმოში ბარტლეტს აწვდის ბურთს. ბარტლეტი მყისიერად ქუსლით აწვდის მაკარტის, რომელიც შმახელთან პირისპირა და დაბალი დარტყმით ფეხებს შუა უტარებს ბურთს. ანგარიში გათანაბრდა.
77. ნიატი დანიელთა საჯარიმოში შევიდა, მაგრამ შმახელი დროულად გამოვიდა კარიდან და ბურთი კუთხურზე მოიგერია.
85. დანიელები საჯარიმოში მალა პასს აწვდიან. ისა შორს ვერ იგერიებს, ბურთი ვიგპორსტს მიუდის, მაგრამ მისი ძლიერი დარტყმა კარს სცდება.
91. ფორტუნის ძლიერად დარტყმული ბურთი დანიელთა კარის ხაზის ხედება.

ფანგურის რუკასთან



იტალიურმა „ლაციომ“ პორტუგალიის წლებიდან ჩემპიონის და...

საბანში „ატლანტიკის“ თავკაცი რადომირ ანტონი სამაბათს...

მომავალი სეზონიდან „ატლანტიკის“ ყოფილი თავკაცი იოანე ლოვი...

იტალიის სერია A-დან გავარდნილი „ნაპოლის“ არგენტინელი...

ნტმა გუსტავო მასკარდომ განაცხადა, რომ მან „მილანთან“...

იტალიელ ნახევარმცველ მეჭიდი მამადიას მომავალი კლუბის ირგვლივ...

საბანში „ატლანტიკის“ ჩემპიონატი: ფლორა — ტალინა სადამი 5:2, TVMK...

საბანში თავდამსხმელი ხოსე ლუის კამინერო მადრიდის „ატლანტიკოდან“...

ინტერტოტო „ტორპედოს“ ზეინდელმა მეტოქემ მწვრთნელი შეიცვალა: ედუარდ მარქაროვი განაღდა

პრეზიდენტის ფარსადანი ჩამოგვივანს

როგორც ჩანს, ქუთაისის „ტორპედოს“ ინტერტოტოს გათამაშების პირველი...

„ერეზუნის“ ფინანსური პრობლემები აწუხებს, ფეხბურთელებს კუთვნილ ფულს ვერ უხდებიან...

ან დიდი ხარჯები გვაქვს და გვექნებაო. საქმე ჩაიხლართა, მაგრამ სწრაფადვე მოგვარდა...

სომხებმა უფასო ეს განაცხადი წარუდგინეს მეკარეები: არმენ ავაგიანი, ტიგრან ასლანიანი...

ნახევარმცველი რაფაელ ნაზარიანიც სომხეთა ნაკრების კანდიდატია...

სომხეთა თავდასხმის ლიდერი კი გუნდის თავი სევადა არზუმანიანი...

ზეინდელი მატჩი, როგორც საბოლოოდ გადაწყდა, 18 საათზე დაიწყო...



„გივი კილაძის“ მეორე სიციხლე — ქუთაისის სტადიონი ინტერტოტოს განახლებული ხედვა

რუსეთი უპატრონოა

რუსეთის ნაკრები უმწვრთნელოდაა — ითხზება რუსეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა...

იგნატიევი თავისი სურვილით წავიდა. ახლა შევეცდებით, 23 ივლისამდე ნაკრებს მწვრთნელი გამოვუძებნოთ...

მაინც რამ გამოიწვია იგნატიევის გადადგომა? — ქვეყნის ნაკრებმა ბოლო ოცი წლის მანძილზე...

იგნატიევის შემცვლელად რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ მიხაილ გერშკოვიჩს მიიჩნევენ...

Advertisement for 'Israeli's Sports Center' (ისრაელის სპორტული ცენტრი) with contact information and prices.

ფედერაცია კლუბებმა საკუთარი მომავალი თავად განსაზღვრეს

კალენდარი მალე გვექნება

გუნდის ფეხბურთის ფედერაციაში პირველი ვაკუუმის კლუბთა თავკაცებს კალენდრის შესავალი ორი ვარიანტი შესთავაზეს...

შეგახსენებთ, რომ გუნდებს ან დაკავებული ადგილების მიხედვით დაწესდება უნდა ურჩიან, ანა წილისყრაზე დათანხმებულიყვნენ...

ხმათა უმრავლესობამ წილისყრა ირჩია და კლუბთა წარმომადგენლებმაც რეგრივობით დაიწყეს კენჭების ამოღება...

- საბოლოოდ გუნდები ასე დაინიშნენ: 1. დინამო, 2. მერანი, 3. რუსთავი, 4. სიონი, 5. თსუ, 6. კოლხეთი, 7. ოდიში, 8. ბათუმი, 9. ვიტ ჯორჯია, 10. იბერია, 11. ლოკომოტივი, 12. ტორპედო, 13. გურია, 14. დილა, 15. სამგურალი, 16. ასკ.

თუ ფედერაციის მიერ კალენდრის შედგენის პრინციპს გაითვალისწინებთ, მაშინ ჩემპიონატის პირველ ტურში გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდებიან:

დინამო — ასკ; მერანი — სამგურალი; მეტალურგი — დილა; სიონი — გურია; თსუ — ტორპედო; კოლხეთი — ლოკომოტივი; ოდიში — იბერია; ბათუმი — ვიტ ჯორჯია.

თამაში, ცხადია, პირველად დასახლებული გუნდების მოედნებზე ჩატარდება. მათმა კვანძალიანი

ჯაფარიძე ბრუნდება

ბოლნისურ „სიონში“ გამოცოცხლება იგრძნობა. მართალია, კლუბის ფეხბურთელები ვერაუკუნოდ დაიარებიან...

გადადგა პრეზიდენტი შუქრი დევრაძე. მისი ადგილი მერაბ ჯაფარიძემ დაიკავა. პრეზიდენტი უფრო ითვალისწინებს ბოლნისურ კლუბს ორი წლის წინ, „სიონი“ — კოლხეთის სკანდალური მატჩის შემდეგ დაემშვიდობა...

ლემონი გოჩა ტრაპაიძის ახალი კლუბი თვის ბოლოს გაირკვევა

ჩახეთიდან...

„დინამოს“ და „ბათუმის“ ნათამაშებმა გოჩა ტრაპაიძემ გასული ჩემპიონატის პირველი წრე ბოლნისურ „სიონში“ ჩამოთარა.

ბოლო ოთხი თვეა, გოჩა ჩხეთის მეორე დივიზიონის „ზემანში“ ასპარეზობდა.

ეგრობაში ამჟამად ტრანსფერების სეზონია, პოდა, ტრაპაიძის პრადის „სპარტაკ“ დაინტერესებულია მასზე თვალის სწორებით გერმანიის მეორე ბუნდესლიგისა და ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბებსაც ტრაპაიძის ახალი ადგილსამყოფელი თვის ბოლომდე გაირკვევა.

სიმონი კოლხეთთან სკანდალური მატჩის მერე შერისხული ჯაფარიძე ისევ კლუბის პრეზიდენტი

იმ ინციდენტის შემდეგ ჯაფარიძემ ფედერაციის აღმასკომის წევრობაც უარა.

არაა გამოიცილებული, ჯაფარიძის დაბრუნებამ „სიონის“ ყველაზე დიდ პრობლემას, ფინანსურ გასაჭირს, ბოლო მოუღოს.

ვისაც მისი პრეზიდენტობა ასსუსვს, დღესაც ტკიბილად ავინდება ის ხანა.

ჩახეთი

ორიოდ დღეში ინტერტოტოს გათამაშება იწყება და ჩვენი „ტორპედო“ საქმეში ჩაერთვება. ევ დიდად კარგი საქმეა ქუთაის-სელთათვის, მაგრამ ინტერტოტოზე გარჯა არც ჩვენს არბიტრებს დაკლდება — 27 ივნისს ქართველ მსაჯთა პრეზიდენტის ჩხეთში მოქმედებს ჩაფრენა ინტერტოტოს მატჩში ბრნის „ბიზი“ ფარეების „გაუსის“ მასპინძლობის ამათი დავის გადაწყვეტა უფამ სერგო კვარაცხელიას, სოსო კახიანს და ალექსანდრე შილაკაძეს ანდო. კახიანი „ტორპედო“ — „ერეზუნის“ მატჩზე სათადარიგო მსაჯიც გასულია.

რაც გინახავს, ვეღარ ნახე...

ტსუ საბოლოო ადგილი მკრეე... სტადიონი: მცხეთის სტადიონი, არმაზი — 3000

30 ტურში... დინამო 30 24 4 2 86:15 71

Table with 4 columns: team name, W, D, L, Goals scored/conceded.

„მერანს“ დაკლებული აქვს 7 ქულა, „დინამოს“ და „სიონს“ — 5-5

ტსუ-ს შედეგები მაცხრა ჩაპიონატში

Table with 4 columns: opponent, W, D, L, Goals.

Table with 5 columns: opponent, W, D, L, Goals.

შ-შინ; ს-სტუმრად; თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი

ბასსოში

ფეხბურთის გულშემბატონებელი გახსოვთ „შეგარდნი 1906“? აბა, რისი გულშემბატონებელი ვართო, იტყვი...

ამთავრდა და პროფესიონალური ფეხბურთის უღმობესმა კანონებმა...

იბი წავა და სხვა მოვლა... 1996 წლის ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში...

ნიჭიერი და გამოცდილი ფეხბურთელ-ბით დაკომპლექტდა. „შეგარდნი 1906“-ის ვალდებულებების დამცველად...

მოვიდა... ნახა... დიან, მოვიდა ეს ახალი გუნდი ჩემპიონატის პირველ ჯგუფში და ხმამაღლა განაცხადა...



გაბელა წელსაც ანერგიულს

მოიგეს. ამას მოჰყვა გამარჯვებები რუსთაველში, ჭიათურაში... სწორედ იმ ქალაქებში, საიდანაც ქართული ფეხბურთის ტიტულოვანი გუნდებს ერთი ქულის წაძლევაც კი უჭირდა...

გარი ძალა, რომელიც ყველაზე საჭირო მომენტში გუნდს გადაარჩინდა. გამოუყენებელ შესაძლებლობათა სიმრავლე...

თსუ-ს გუნდების მიზანი რომ აღარ გააჩნიათ და პირველ ჯგუფიდან გაეგარდნის საფრთხეც არ ეძუქრებათ...

მთავარი მწკრივი... ოთარ გაბელა ცნობილია, როგორც ერთი ემოციური, მაგრამ მშვენიერად მოასპარევე კარის დარაჯი...

კარგი გუნდი არ უკა მეცხრე ჩემპიონატს. რომ არა ფინანსური სიდინგები, მას იქნებ გამარჯვების კარცლებზეც აყვანა სტუდენტთა გუნდი...

მეტი პროფესიონალი...


მეტად მწირია ოფიციალური ინფორმაცია თსუ-ს მეტატრიონის შესახებ. ზოგი რას ამბობს, ზოგი რას... კლუბის პრეზიდენტად მარმანდელ სეზონში...

კლუბი პირველ რიგში უნდა ჩამოყალიბდეს, ღირსება და სხე შექმნას საფეხბურთო სამყაროში...

თსუ-ს მეცხრე რიგის პროფესიონალი განაწილება ყველა სათავეს უკნოდა, კვი ვერ გაიგებს, ვის რამდენი უკეთინის...

თსუ გუშაგობლამს მარად!

თსუ-ს მეცხრე რიგის თამაშის მიუხედავად, გულშემბატონებელი ნამდვილად არ აკლია ფეხბურთის დანატრებული მცხეთელების დიდი მონღოლებით...



პორიზონტალურად მოცემულია ტურის ნომერი, ვერტიკალურად კი — ადგილი გათამაშების ცხრილში

ყაღის გასკვლევა გნებავით? გოლიში


— იცი, ახლა ვის ელაპარაკები? მე, ერთ-ერთი ყველაზე საშიში სულიერი ვარ მთელ ბრიტანეთში — ახალგაზრდა კაცი თავის მობილურ ტელეფონს დახვალხვ დებს და რამდენიმე სიტყვას ისე გამყინავად გამოცხადებს კბილებში, რომ საბრალლო ბარის მფლობელის ფეხები უკანკალებს და გულისფეთქვა უჩერდება. ამგვარ სიტუაციას ამ დღეებში საუბარად ხშირად შევსწრებით საფრანგეთში. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების პირველივე დღიდან ათასი



ყურადღება, ბრიტანელები! ფრანგული პოლიცია ფხიზლობს

ჯურის ნაძირალებმა წააგდეს საფრანგეთის ქალაქები და სამართალდამცვეებს ყოველთვის უდიდესი ძალისხმევით დახვალხვ დებს და რამდენიმე სიტყვას ისე გამყინავად გამოცხადებს კბილებში, რომ საბრალლო ბარის მფლობელის ფეხები უკანკალებს და გულისფეთქვა უჩერდება. ამგვარ სიტუაციას ამ დღეებში საუბარად ხშირად შევსწრებით საფრანგეთში. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების პირველივე დღიდან ათასი

ამ დროს არც ერთი ალკოჰოლით მოვარულნი არ იქნება ღია. მათ ამათ უფლებას მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორების მიერ გაცემული საგანგებო ლიცენზიები აძლევს — განაცხადა იქაური კაფეების, სასტუმროებისა და რესტორნების ასოციაციის თავმჯდომარე პოლ შიანსმა.



ბრიტანული ავტორაფი ფრანგულ ვიტრინაზე

შევახსენებთ, რომ კვირას ინგლისელმა ფანებმა ნამდვილი ვანდალიზმი მოაწვეეს ქალაქის ქუჩებში. ვალეშილიმა ხულიგნებმა ჯერ შენობებისა და მანქანების შეშენი დაიწყეს, ხოლო შემდეგ ჩხუბში ფრანგი ახალგაზრდებიც ჩაირიგეს.

მეორე დღეს მარსელის ზოგიერთი მაღაზიისა და რესტორნის მფლობელებმა აჯანყებულთა წინააღმდეგ მებრძოლი რაზმის (CRS) წევრებს უძობლდობაში დასდეს ბრალი. დაზარალებულთა თქმით, გვარდიელები თურმე სრულიად გულგრილად უმზერდნენ ბრიტანელთა სულიერი დასაზარალებლობას და არც კი უცდიათ, მათი უმსგავსო საქციელი აღეკვეთათ. აი, ბრიტანელმა პოლიციელებმა კი, რომელთაც ინგლისის ნაკრების დაცვა ვვალებათ და ყველაგან თან დაჰყვებიან, საქეპარი სიტყვებით მოიხსენიებს თავიანთი ფრანგი კოლეგები, რომელთაც ინგლისი — ტუნისის მატჩის შემდეგ ყველა ღონე იხმარეს, რათა მეტოქე გუნდების მხარდამჭერები გაეშვებინათ და მათ საშუალება არ მისცეს, სისწლიანი შეტაკება მოეწყოთ.

ირაკლი ხმელიძე

Table with 2 columns: 'გოლები' (Goals) and 'ავტოგოლები' (Own Goals). It lists various players and their goal counts for different teams.

Table with 2 columns: 'წითელი ბარათები' (Red Cards) and 'ყვითელი ბარათები' (Yellow Cards). It lists players and the number of cards they received during the match.

ინიტი თუ არა, რძინ...

...კამერუნის ნაკრების კარში ორი გოლის გამტანი იტალიელი კრისტიან ვიერი რიგით მესამე ფეხბურთელი შეიქნა, რომელმაც წლებმანდე მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ შეხვედრაში მეტოქე გუნდის კარის დალაშქვრა ორჯერ შეძლო. აქამდე ასეთი მაჩვენებელი ჩილელ მარსელო სალასა და მექსიკელ ლუის ერნანდესს ჰქონდათ. მათ ორ-ორჯერ შესაბამისად იტალიელი და კორეელი მეკარეები დაამწხრეს.

...კამერუნელი მცველი რაიმონდ კალა მეოთხე ფეხბურთელია, ვისაც წლებმანდე მსოფლიოს ჩემპიონატზე მსაჯებმა ნითელი ბარათი უჩვენეს. მანამდე უხუში თამაშისათვის მინდორი ბულგარულ ანატოლი ნანკოვს, კორეულ პა სვოკ ჯუსა და პოლანდიელ პატრიკ კლუივერტს დაატოვებინეს.

...1970 წლიდან მოყოლებული იტალიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე, არც ერთი შეხვედრა დიდი ანგარიშით არ მოეგო. უკანასკნელად სამი ბურთის სხვაობით „სკუადრა აძურამ“ მექსიკაში მასპინძელთა ეროვნული გუნდი 4:1 დაამარცხა.

...იტალიის ნაკრებს 1986 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გამართულ არც ერთ შეხვედრაში სამი ბურთი არ გაუტანია. კამერუნთან 3:0 მოგების შემდეგ ტრადიცია დაირღვა.

...კამერუნის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გამართული უკანასკნელი ექვსი შეხვედრიდან ერთიც არ მოუგია. ბოლოს „მოუთეინერებელმა ლომებმა“ კოლუმბიის ნაკრებს 2:1 სძლიეს 1986 წელს.

...კამერუნელებმა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გამართული ბოლო ოთხი თამაშიდან სამი დიდი ანგარიშით წააგეს. საფრანგეთში იტალიასთან 0:3 მარცხის გარდა აფრიკელები 1994 წელს ბრაზილიასთან (0:3) და რუსეთთანაც (1:6) შერცხვნენ.

...ჩილეს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ბოლო 36 წლის მანძილზე გამართულ შეხვედრებში გამარჯვება არ მოუპოვებია. ავსტრიელებმა ეს იმედი სამხრეთამერიკელებს სულ ბოლო წუთზე წაართვეს — 1:1, ხოლო იტალიის გუნდმა ჩილესთან 2:2 ნათამამე მატჩში ანგარიში დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე გაათანაბრა.

...ჩილელი მარსელო სალასი ავსტრიელებთან გოლის გატანის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა. ახლა „ელმატადორსა“ და იტალიის ფორვარდ კრისტიან ვიერის ყველაზე მეტი — სამ-სამი გოლი აქვთ შეგდებული.

...ავსტრიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ზედიზედ მეორე თამაში 1:1 დაასრულა. აღსანიშნავი კი ის არის, რომ ორივე შემთხვევაში ქულის გადარჩენა ავსტრიელებმა მხოლოდ მსაჯების მიერ დამატებულ დროში შეძლეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შეიღვევრ
მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფიცხვარია
რედაქტორი
თამაზ მიხრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ სელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ პუჩიაძე
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიორგი ხვიციანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუსა კაციაძე
ფოტორეპორტორები:
გურამ დოლოვაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გულუბანიძე, ნინო დევიძე, სვეტა დევიძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციანი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ზატიაშვილი
გამომწვევი ზურაბ ინაშვილი
დირექტორი
გიორგი მოძრომეშვილი
დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარვი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29